

პროექტის განმარტება

პროექტი № NV-50/18 დამუშავდა 2018 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხება ქ. თბილისში გლდანის დასახლებაში, მე-8-ე მ/რ, კორპუსი № 2-ის 1 და 2-ე სადარბაზოს 0,4 კვ. ძაბვით ელ. მომარაგების სამწვერიანი მიწისქვეშა ამორტიზებული 1ც. ძალოვანი კაბელის შეცვლას 4 წვერიანი კაბელით ს/ჯ № 9090-დან შენობამდე, შენობის სარდაფიდან ძალოვანი გამანაწ. კარადის და ძალ. კაბელების გარეთ გამოტანას.

9 სართულიანი 2 სადარბაზოიანი საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში კედელზე არის დადგმული ძალოვანი გამანაწილებელი კარადა, საიდანაც 0,4 კვ. ძაბვით მარაგდება სადარბაზოში პირველ სართულზე დადგმული 24 მრიცხ-ნი აღრიცხვის კვანძის კარადები. შენობის მე-2-ე სადარბაზოს შესასვლელთან კედელზე დამაგრებით დაიდგას ძალ. გამანაწილებელი კარადა- შპС-400/5, რომლის კორპუსი შეერთდეს ყრუდ არსებულ დამიწების კონტურზე. სარდაფში არსებულ ძალ. კარადაზე და 24 მრ-ან კარადებში ჩაიხსნას არსებული კაბელები, გაკეთდეს მათი დემონტაჟი და ჩაბარდეს ს/ს „თელასის“ შესაბამის სამსახურს.

გაითხაროს საკაბელო ტრანშიეი ს/ჯ № 9090-დან კორპ. № 2-ის მიმართულებით გრუნტში, შიდა კვარტალური ასფალტირებული გზის გვერდით გრუნტში, ამავე ასფალტირებული ეზოს გადაკვეთაში - ახალ დადგმულ ძალ. გამანაწილებელ კარადამდე, მოეწყოს საკაბელო ბაღიში წვრილფრაქციური ქვიშით, მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთაში ჩაიდოს სქელკედლიანი დამცავი მილი, რომელშიდაც გატარდეს სამონტ. კაბელი, ჩაიდოს 1ც. კაბელი ABBГ1 (4*185)mm2 კვეთის ს/ჯ-დან სადარბაზომდე და აქედან 2ც. კაბელი NAYRY2(4*95)mm2 ამავე სადარბაზოში და პირველ სადარბაზოში დადგმულ 24 მრ-ან კარადამდე. ს/ჯ-დან ჩადებულ კაბელს მიეყაროს ქვიშა, სავალ ნაწილზე დაეყაროს ქვიშა-ხრეში, სამანქანო გზის გადაკვეთაში დაეყაროს ღორღი - დაიტკეპნოს და დაიგოს ასფალტი. გზის გვერდით გრუნტში დაეყაროს ამოღებული გრუნტი და დაიტკეპნოს. პირველ და 2-ე სადარბაზოში 24 მრიცხვ-ან და ლიფტების სამფაზიან კარადებამდე კაბელები დამონტაჟდეს სადარბაზოს კედელზე დამაგრებით, გაუკეთდეს საბოლოო ქუროები და შეერთდნენ აღრიცხვის კვანძის კარადებში შესაბამის კონტაქტებზე. ლიფტების აღრიცხვის კვანძის კარადების 0,4 კვ. ძაბვით ელ. მომარაგება განხორციელდეს კაბელი ABBГ(4*16)mm2 კვეთით, რომელიც შეიძლება დაიკვებოს ძალ. გამანაწ. კარადიდან ან საჭიროების შემთხვევაში 0,4 კვ. ძაბვა აღებული იქნას 24 მრ-ნი კარადების ძალოვანი საკლემე ბლოკიდან.

ს/ჯ № 9090-ის 0,4 კვ. ძაბვის ნაკვეთურში არსებულ გამავალ სახაზო კარადაში გაითიშოს ძალოვანი გამთიშველები, გამოიხსნას არსებული ამორტიზებული სამწვერიანი კაბელი ს/ჯ-სა და შენობის სარდაფში, ახალ ჩადებულ კაბელს გაუკეთდეს საბოლოო ქუროები და შეერთდეს გამოსხსნილი ძველი კაბელის ადგილზე ს/ჯ-ში და კორპ. №2-ის სადარბაზოსთან დადგმულ ძალ. გამანაწ. კარადის შემავალ გამთიშველზე. კარადების შემავალ ხერხელებზე გამოყენებული იქნას ლითონის მილყელები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება კარადების კორპუსების დამიწების კონტურზე შეერთება.

ძალოვანი კაბელების ნულოვანი სადენი შეერთდეს კარადების კორპუსებზე დამცავი დანულების მოწყობის მიზნით.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ-ს და СНиП-ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.

პროექტი № NV-50/18	
ფ.№	ფ.რ.
2	4